

ახალი

განთიადი


„გედნეირია ის, ვისაჲ
სამშობლოსათვის უძგერს გული.“



29 ივნისი - 12 ივლისი 2013 წელი №12 № 8046 ელფოსტა: AxaliGantiadi@gmail.com.

20 ივნისს კასპში


გვ2.




მშობლიური მხარის მოაზრება
მოქანდაკე გვ3.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილებით გვ2.

„მიწის სჯული,“ გვ2.



ვინ გულშემატკივრობდა
კასპელ სპორტსმენებს
კრასნოდარში? გვ3.



მწვრთნელი რა შეგირდი გვ5



13 ივლისს სოფელ
სამთავისში
11 საათზე,
ეკლესიის მიმდებარე
ბარიკორიკა (სოფ-
ლის ცენტრში) გაიხს-
ნება ივანე გამსიაშ-
ვილის ბიუსტი.
12 საათზე
გაიხსნება ივანე გამს-
იაშვილის სახელო-
ბის საჩიფაო არენა,
გაიხსნება შაჯირი.




„ვაჟაცდმისა და
გმიტაგმიტმის სიმღერა,“ გვ4.

ქ
მ
ა
რ
ე
ნ
ი
ა
ნ
ი
ა
ნ
ი
ა
ნ
ი



„ყველას ღმერთი სამშობლოა,“ გვ6.






19 ივნისს კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის სახლში, ქართული დოკუმენტური ფილმის “მინის სჯული”-ს ჩვენება გაიმართა. ფილმი საზღვარგარეთ ოჯახის სარჩენად წასული ქართველი ემიგრან-

ტების ყოფა-ცხოვრებას ასახავს. რეჟისორი ლექსო გელაშვილი შეეცადა სრულად გადმოეცა ის სიძნელებები, რაც ემიგრანტების ცხოვრებას ახლავს.

ფილმის მნიშვნელობასა და ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაზე ისაუბრეს: საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა, საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტმა, მამია მამიაშვილმა,



ლირსების ორდენოსანმა – გია ჭუბაბიამ, პროფესორმა ვანო ჯაფარიძემ, მსახიობმა ნინელი ჭანკვეტაძემ და ჟურნალ-

ისტმა მამიაშვილმა ბერიანძემ. სტუმრებს საინტერესო შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ.



ქართველ ემიგრანტებს სხვა მიწაზე ცხოვრების დროს სვდებოდა.

ფილმი შექმნილია სტუდია “გუთან”-ში, სადაც 1996 წლიდან მართლმადიდებლური ფილმების გადაღებაზე

ისტმა მამიაშვილმა ბერიანძემ. სტუმრებს საინტერესო შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ.



80 წელი თქვენს გვერდით

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“!

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის №40 დადგენილებით, სოციალური დახმარების სახით კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2012 წლის პირველი ოქტომბრის ჩათვლით გაცემულია 42419 ლარი.

მუხლი 1. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო დახმარება: 8 ბენეფიციარი.

მუხლი 2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება საკეისროსა და ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს: 5 ბენეფიციარი.

მუხლი 3. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა: 2 ბენეფიციარი.

მუხლი 4. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების სამედიცინო დახმარება 0.

მუხლი 5. (ამოღებულია).

მუხლი 6. ფსორიაზით დაავადებული პირების დახმარება 0.

მუხლი 7. ლეიშმანიოზით დაავადებული ბავშვების დახმარება 0.

მუხლი 8. დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება 0.

მუხლი 9. ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისადმი დახმარება 2 ბენეფიციარი.

მუხლი 10. ენდოკრინოლოგიური დაავადებებით დაავადებულ ბავშვთა დახმარება 0.

მუხლი 11. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება 0.

მუხლი 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება 4 ბენეფიციარი.

მუხლი 13. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 2 ბენეფიციარი.

მუხლი 14. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 48 ბენეფიციარი.

მუხლი 15. სააღდგომო სურსათით დახმარება დევნილი ოჯახებისათვის 157 ბენეფიციარი.

მუხლი 16. 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება 4 ბენეფიციარი.

მუხლი 17. სამ მარტს სამშობიარო სახლებში მყოფი ქალების “დედის დღის” მილოცვა სასაჩუქრე პაკეტით 2200 ლარი.

მუხლი 18. მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება 18 ბენეფიციარი.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №41 დადგენილების თანახმად 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2013 წლის პირველ მაისამდე სოციალური დახმარების სახით, კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემულია 120762 ლარი.

მუხლი 1. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება 19 ბენეფიციარი.

მუხლი 2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება საკეისროსა და ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს 3 ბენეფიციარი.

მუხლი 3. გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობა: 40 ბენეფიციარი.

მუხლი 4. კომპიუტერული ტომოგრაფია 8 ბენეფიციარი.

მუხლი 5. უფასო მედიკამენტებით მომსახურება 38 ბენეფიციარი.

მუხლი 6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება 11 ბენეფიციარი.

მუხლი 7. მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება 14 ბენეფიციარი.

მუხლი 8. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 59 ბენეფიციარი.

მუხლი 9. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 0.

მუხლი 10. 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება 4 ბენეფიციარი.

მუხლი 11. სააღდგომო სურსათით დახმარება დევნილი ოჯახებისათვის 0.


მუხლი 12. სპორტსმენებისა და სტუდენტების დახმარება 14 ბენეფიციარი.

მუხლი 13. ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისადმი დახმარება 5 ბენეფიციარი.

მუხლი 14. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 7 ბენეფიციარი.

P.S. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №41 თანახმად, გათვალისწინებულია დახმარება გაეწიოს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეებს, კერძოდ, მუხლი 9. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს (9 მაისი), მუხლი 11. სააღდგომო სურსათით დახმარება დევნილი ოჯახებს (5 მაისი).

20 ივნისს ყასპში ...



20 ივნისს კასპში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრეამ აკურთხა.

ქალაქის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით, უფრო ზუსტად კი, ნატბეურას ტერიტორიაზე აღმართული ეკლესიის მშენებლობა კასპის მკვიდრმა დიმიტრი მკედლიშვილმა წლების წინ დაიწყო, დიდი სიძნელების მიუხედავად 10 წლის თავზე შეძლო ტაძრის დასრულება.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.



— მე გაგაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა, — მოკრძალებით განაცხადა სატელეფონო საუბარში გელა პატარქალაშვილმა, — და ისიც ვიცი, თუ რა მნიშვნელობა აქვს დამწყები სპორტსმენისათვის გვერდში დგომა და წახალისება. ვინ იცის, რა მოხდება მომავალში, იქნებ, სწორედ ეს ის ქართველი მოჭიდავეები არიან, რომლებმაც მსოფლიოში უნდა გაუთქვან სახელი ჩვენს ქვეყანას. აი, სწორედ ეს არის დღეს ყველა ჩვენგანის საფიქრალ-საზრუნავი.

მაშ ასე, ქალაქი კრასნოდარი, სპორტის სასახლე “ოლიმპი”, ოთხი დღის (6-9 ივნისი) განმავლობაში მასპინძლობდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის გუსეინ ხაიბულაევის სახელობის თასის გათამაშების მე-12 საერთაშორისო ტურნირს ჭიდაობა სამბოში.

— როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული საერთაშორისო ტურნირი გახლდათ წარმომადგენლობითი, — საუბრობს გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ჯამბოლატ ქაშაძე, — და მასში მონაწილეობდა 200 სპორტსმენი. სულ კი ტურნირში ასპარეზობდა ხუთი წონითი კატეგორიის მოჭიდავე და ძალიან სასიხარულო, ნიშანდობლივია ის ფაქტი, კასპელმა სამბისტებმა კრასნოდარში მართლაც რომ დამაჯერებელი, საიმედო სპორტული შედეგები გამოავლინეს.

ერთი სიტყვით, კრასნოდარის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს სახელს იცავდნენ: ზვიად ოდოშაშვილი, კახა მამულაშვილი, შმაგი შარიფაშვილი და ბექა ბერიაშვილი. როგორც სჩვევია ხოლმე ასეთ მასშტაბურ და პრინციპულ ორთაბრძოლებს, რა თქმა უნდა, თან ახლდა მღელვარება, ერთგვარი დამაბულობაც, მაგრამ ჩვენი მოჭიდავეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლომდე შეინარჩუნეს წონასწორობა, სიმტკიცე, მამაცურად გადალახეს ბარიერი და მაყურებლის, თქვენ წარმოიდგინეთ, სპორტის სასახლეში სპეციალურად მოსული ქართველი ქომაგების ომახიანი შემახილებიც დაიმსახურეს. თვითმხილველები

ვინ გულოშემატკივრობდა კასპელ სპორტსმენებს კრასნოდარში

სამშობლიოდან შორს, კრასნოდარში მოღვაწეობს მეჭეხელი გელა ჰაფარქალაშვილი და ამჟამად იგი წახორციელებს ჩაიონის ძიუდოსა და სამბოს ფედერაციის ჰრეზიდენტია. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭიდავე ოიოქმის ორი ათეული წელია ამ რაინდული ჰრეფესიის სიყვარულს უწერგავს იქაურ ახალგაზრდებს, თუმცა რუსეთში მოღვაწე სპორტსმენს ერთი დღეც უკარ შეუწყვეცია მშობლიურ მიწა-წყალზე ფიქრი. თუნდაც იმიჯში, რომ მას საქართველოში შესანიშნავი ოჯახი აქვს, ჰყავს წარმაცდებული შვილები, მისი უფროსი ვაჟი, ამირანი რესპუბლიკის საუბეოესო არქიფეცქორია, ხოლო ქალიშვილი მარინა ჰრეზიდენტის სცაჰენდიანცია და ქართული მედიის საფუძვლებს ეუფლებას...

როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა ხოლმე გელა ჰაფარქალაშვილს, საერთაშორისო არენაზე გამოაჩინოს ქართველები, მხარში ამოუდგეს მათ, უგულშემატკივროს, თავს არ ზოგავს. სწორედ ასე იყო ამჯერადაც. საქმე ის გახლავთ, რომ მისი უშუალო მიწვევით, დანაშრებია და ძალიხხმევია ახლახან კრასნოდარში გამართულ მეორემეცე საერთაშორისო ჭურნირზე ოიხმა კასპელმა სამბისტმა აასჰარება. რომ არა გელა ჰაფარქალაშვილის ქველმოქმედება და მონაწილეობა, უფრო მეცავ, სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა, სავიზო რევიმისა და სხვა ორგანიზაციული საყიოების მოგვარება, აღნაო ძალიან გაჭირდებოდა ჭურნირზე კასპელთა გუნდის გამგზავრება.



იმასაც აბობენ, რომ “ოლიმპის” მაყურებელი და გულშემატკივრები, მოჭიდავეები განაცვიფრა კრასნოდარის ქართული სათვისტომოს მონაწილეობამ და თანადგომამ. ტურნირის დაწყებისთანავე დარბაზში გამოჩნდნენ ქართული დროშებითა და გამამხნეველები ტრანსპარანტებით ხელდამშვენებული გულშემატკივრები და ასპარეზობის პროცესში სკანდირებდნენ ქართველი მოჭიდავეების სახელებს. აი, ასეთ შთაბეჭდავ

ტურნირში ჩემპიონობა არავის დაუთმო საქართველის სამბოს ნაკრების წევრმა (62 კგ. წონითი კატეგორია) ზვიად ოდოშაშვილმა, რომელმაც ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო, მეტოქეს ფინალშიც სძლია ქულებით და ოქროს მედალსაც დაეუფლა. ტურნირის მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა საქართველის სამბოს ნაკრების წევრი, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი (74კგ. წონითი კატეგორია) კახა მამულაშვილი. ბექა ბერიაშვილმა ხუთი შეხვედრიდან სამი შეხვედრა მოიგო და ამჯერად, მხოლოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. დასანანია, რომ ფეხის ტრავმის გამო შმაგი შარიფაშვილმა ვერ მოახერხა ასპარეზობის გაგრძელება. საბოლოოდ კი, ჩვენმა სამბისტებმა მაინც შეძლეს ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლის სამშობლოში ჩამოტანა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ქართველ სამბისტებს გამარჯვებას ულოცავდნენ კრასნოდარში მცხოვრები ქართველები, სათვისტომოს წარმომადგენლები, იქაური ახალგაზრდები, ეს იყო ნამდვილი ზეიმი, სპორტისა და მეგობრობის დღესასწაული.

ჩვენი ფალავნები მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოთქვამენ ორგანიზებული და გულითადი დახვედრისათვის, ხვდებოდნენ იქ მცხოვრებლებს, რომლებიც წლების წინ წავიდნენ საქართველოდან. სწორედ ერთ-ერთი მათგანია თბილისელი ალბერტ კარაპეტინის ოჯახიც, რომელმაც მთელი ტურნირის განმავლობაში უგულშემატკივრა ჩვენს სპორტსმენებს და დაათვალიერებინა კრასნოდარის ღირსშესანიშნავი ადგილები, კარგადაც უმასპინძლა და დაემშვიდობა...



ოფიციალური ქრონიკა




სოფელ მეტეხის ლტოლვილთა ჩასახლებაში სასმელი წყლის ტუმბო აღადგინეს, რომელიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში მწყობრიდან იყო გამოსული. არსებული ტუმბოს აღსადგენად თანხები კასპის მუნიციპალიტე-

ტის გამგეობამ გამოყო. ამჟამად მოსახლეობას წყალი შეუფერხებლად მიეწოდება. ტუმბოს აღდგენას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე და მოადგილე ზაზა მოსიაშვილი. აღდგენითი სამუშაოების

მეტეხის ლტოლვილთა დასახლებაში

დამთავრების შემდეგ ოლეგ იაძე დასახ- ისმინა მათი პრობლემები და დახლების მაცხოვრებლებს შეხვდა. მომარებას შეჰპირდა.





„ვაქაცდმისა და გმირთაგმირთმის სიმღერა“

დავიწყეთ თავიდან: პატარა ვანო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ძალ-ღონით და ენერგიის დახარჯვას ჭიდაობაში, სიმძიმეების (სოფელში ჭაღის დიდ ქვებს იყენებდნენ) აწევვაში ხედავდა. სწორედ ამან განაპირობა ვანოს მოსვლა დიდ სპორტში.

მშობლებმა, ერთ დღესაც ენერგია მოჭარბებული ბიჭი, კასპში, რაიონის ცენტრში, ცნობილი მოჭიდავის, თავისი საქმის მცოდნისა და სპეციალისტის ლავრენტი კაციაშვილის ჭიდაობის სპორტულ სკოლაში მიაბარეს. ვანომ მაშინ პირველად ნახა მისი პირველი მწვრთნელები: გოგი ბენიშვილი და შოთა კაციაშვილი (სამწუხაროდ, შოთა კაციაშვილიც ტრაგიკულად დაიღუპა). გამოცდილი მწვრთნელების ხელში ვანო ძალიან მალე ეზიარა ჭიდაობის ჭეშმარიტ ანბანს და პირველმა წარმატებამ მისთვის (ასაკს ვგულისხმობ) პირველი ზარი ჩამოჰკრა – 1984 წელს რაიონის ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში ... ეს იყო ასაფრენი ბილიკი დიდი სპორტული ცხოვრების დასაწყისისა... პირველ წარმატებას მეორე მოჰყვა (ამ შეჯიბრს წინ ბევრი სხვა ტურნირი უძღოდა) – მოიგო მაშინდელი “ნორჩი ლენინელის” საქართველოს პრიზი ... ცოტა ხან-იც და ... ვანო, 1987 წელს საქართველოს ჩემპიონია, გადაწყვეტილება მიღებულია – ჭიდაობა სამო!

დიდი სიხარული იყო ვანოსთვის და არა მარტო მისთვის. აწ უკვე ისტორიას ჩაბარებული, პირველი მაღალი რანგის წარმატება და მომავალი დიდი ფალავანი 1988 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს ეუფლებოდა თანატოლთა შორის ... და პირველი შორეული და გრძელზეგრძელი გზა მისი სპორტული მარათონისა ... –ამერიკა! ვანო ამერიკიდან მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით დაუბრუნდა საქართველოს და მისთვის მშობლიურ სამთავის (აქვე, მკითხველს შევახსენებ, პირველი შეხვედრა ვანომ მასპინძელს, მოუგო, რამაც ვანოს იმედი შემატა მომავალ შერკინებებში გამარჯვებისა. ფინალში, მონდოლეის წარმომადგენელს შეხვდა – ჯავრი იყრა ჩვენმა ვანომ, (არადა, მას ჩემპიონატზე უძლიერესად მიიჩნევდნენ).

ამ წიგნის მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე კიდევ ერთი ქართველი სამბისტი მონაწილეობდა – ჯემალ მჭედლიშვილი. ჯემალი მოზრდილთა ასპარეზობის მონაწილე იყო და იგი ოქროს მედლით დაუბრუნდა მშობელ ქვეყანას.

ამერიკაში ამ ორი ვაჟკაცის ცოტა ხნით “ცხოვრებას” მცირე ხნით გადავუხვევ, კულისებს ვგულისხმობ ...

ჯემალ მჭედლიშვილი: ვანო იყო უაღრესად ზრდილობიანი, თავაზიანი, სხვისი ტკივილის გულთან ახლოს მიმტანი და

ამავე დროს გულუბრყვილო ბიჭი. როგორ გითხრათ, როგორ აგიხსნათ, როგორ დავახასიათო უძვირფასესი მეგობარი. სანამ ამერიკაში გავემგზავრებოდი, საბჭოთა კავშირის სამი ნაკრები – ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები, ბელორუსიაში გავდიოდით წვრთნას, ვანო მაშინ ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი იყო ... ერთი უნდა ვთქვა, იმთავითვე ეტყობოდა, რომ დიდი სპორტის საფრენი ბილიკიდან ფართო გზის გადასარბენს აუცილებლად გადალახავდა ... ამაში დღითი-



დღე ვრწმუნდებოდი მისი თავდაუზოგავი ვარჯიშის, ტატამზე ოფლისღვრისა თუ საჭიდაო ჩოხის მორგება-დათვალიერების შემყურე. ხანდახან ვანო მაიმიტიც იყო. თითქოს, გარეგნულად არ ეტყობოდა, მაგრამ მაინც ნერვიულობდა (ჩემი აზრით). ვარჯიშის შემდეგ, შხაპს მიიღებდა და ჩემთან შემოდიოდა ოთახში (ასაკით მე უფროსი ვიყავი და შეიძლება ასეც უნდა ყოფილიყო). უამრავ შეკითხვას მაძლევდა, მთხოვდა წინასწარ მეპასუხა, მოუგებდა თუ არა ყველა მონაწილეს, ვესაუზინო აღმოჩენილ კონტინენტზე გახდებოდა თუ არა ჩემპიონი ... მისკში ვანო თითქმის ყველასთან ვარჯიშობდა (იტვირთებოდა), დიდი თუ პატარა, მისთვის ერთი იყო – ბრძოლა ბრძოლაა. ხალიჩის გარეთ კი, ვანო ერთი ჩვეულებრივი, სამთავისელი ბიჭი იყო ...

არ გაგიკვირდეს მკითხველო, ვანოსთან ვარჯიშის დროს უფრო ვიტვირთებოდი, ვიდრე ჩემს მომავალ კონკურენტებთან. კიდევ უნდა გავიმეორო – ამოუწურავი ენერგიის პატრონი იყო.

ისევ იმ ასპარეზობის შესახებ მინდა ცოტაოდენი რამ გითხრათ: ამერიკაში ვართ, კოლუმბს რომ ინდოეთი ეგონა, იმ ქვეყანაში. ჩვენი სამთავისელი ფალავანი პირველად ასპარეზობდა ასეთი დიდი რანგის ჩემპიონატში. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე თავისუფლად, აუღელვებლად გამოდიოდა ყველა შეხვედრაზე, გაკვირვებული ვიყავი, კასპში ხომ არ ვართ, ეჭვიც კი მეპარებოდა ... ვანომ ყველა შეხვედრა დიდი წარმატებით ჩაატარა, ყველა მოწ-

ინალმდევს წყალი გადაუწურა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ვანომ ფინალში უძლიერესად აღიარებული მონდოლი მოჭიდავე დაამარცხა, რაზეც დიდი ოფლისღვრა დასჭირდა ჩვენს სამთავისელ ჭაბუკს.

საათი საათს, დღე დღეს მისდევდა, მალე ჩემი შეხვედრები უნდა გამართულიყო. სამთავისელი ქართველი ვაჟკაცი ჩემს მომზადებაში ისე ჩაერთო, კარგ გამოცდილ მწვრთნელებსაც კი გაუკვირდებოდათ. თავს მევლებოდა, ძმა - ძმისთვისაო, – მეუბნებოდა და დიდი სურვილი, ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვანო კარგად მღეროდა, ქართული ჭიდაობაც ხომ სიმღერაა, ვაჟკაცობისა და გმირთაგმირობის სიმღერა. ვარჯიშის შემდეგ ვეუბნებოდი,

ვანო გამხიჯაშვილი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე წარულოვანი სპორტსმენი. 1991 წლიდან, რაც ქართული სპორტი დამოუკიდებლად გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე, მას, ყველა სხვა სპორტსმენებთან შედარებით, ორჯერ მეტი მედალი აქვს მიღებული ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. მისი ხრული სპორტული შედეგების ნუსხა ასეთია:

მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში (1989 წწ.)

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1992-1993 წწ.)

მსოფლიო ორგზის პრიზიორი ახალგაზრდებში (1991-1993 წწ.)

ევროპის ჩემპიონატის 4-გზის მეორე პრიზიორი (1993-1994; 1995-1996 წწ.)

ევროპის ჩემპიონატის 2-გზის პრიზიორი (1997-1998 წწ.)

ევროპის ჩემპიონი (1999 წ.)

მსოფლიოს ჩემპიონატის 5-გზის მეორე პრიზიორი (1991-1995; 1996-1998 წწ.)

მსოფლიო ჩემპიონატის 2-გზის მესამე პრიზიორი (1993-1994 წწ.)

მსოფლიო თასის გათამაშების 2-გზის მეორე პრიზიორი (1994 წ.)

მსოფლიო თასის გათამაშების 2-გზის მესამე პრიზიორი.

მსოფლიო თასის მფლობელი (1999 წ.)

საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

ვანო გამხიჯაშვილი 1973 წლის 13 ივლისს დაიბადა კასპის რაიონის სოფელ სამთავისში, მშრომელი და პატიოსანი ხალხის ოჯახში. დედა, ქალბატონი დალი მანძულაშვილი-გამხიჯაშვილი, მზრუნველი, მოსიყვარულე და შესანიშნავი დიასახლისია, მამა, რეზო გამხიჯაშვილი, მუხლჩაუხრელი, სოფელ-ქვეყანაში კაცური სიტყვის მოქმელი და ანგარიშგასაწყვეი კაცია. ბატონი რეზო კასპის რაიონში სპორტის ერთ-ერთი დიდი გულშემატკივარია. მე თვითონ ვარ ამის მომწერე და მნახველი – საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი შეჯიბრი, ბატონი რეზო რომ არ დასწრებოდა. აი, ასეთ ოჯახში იზრდებოდა ჩვენი მომავალი ფალავანი.

სამთავისი ისტორიული სოფელია, რასაც ადასტურებს მის შუაგულში საუკუნეების წინათ აღმართული ამაღლების სახელობის წმინდა მონასტერი. სწორედ მონასტრის ეზოში მიუჩინეს სამარადისო სასუფეველი ტრაგიკულად დაღუპულ ვანოს. ჩვენი ფალავანი ამას ნამდვილად იმსახურებდა, მთელი სოფლის გადაწყვეტილებაც ეს იყო.

ვანო, ერთი ჩვენებური ვაჟკაციური მიმღერე და მეც გავხდები ჩემპიონი-მეთქი. პატარა ძმა დიდ ძმას მიმღეროდა და სწამდა, რომ ქართველები კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ქვეყნიდან ნირწამხდარნი არ დავბრუნდებოდით. ასეც მოხდა – ვანოსთან ერთად მეც ჩემპიონი გავხდი. ვანოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამერიკიდან რომ დავბრუნდით, თბილისის აეროპორტში ვანომ ხელი მომიკიდა და მითხრა: ჩემო უფროსო ძმაო, გზად ჯერ ჩემი ლეგენდარული სამთავისია, მერე კი შენი “სამშობლო”, მოდი, ამ დიდი ფორუმის აღნიშვნა მაშაქმისა და დედაჩემის ძირძველი ფუძიდან დავიწყეთო ... ჩემი მეგობარი ვანო გამხიჯაშვილი მარტო სამბოს კი არა, მთელ ბედკრულ საქართველოს დააკლდა კიდევ ერთი გულმხურვალე, მეომარი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული რაინდი.

ბიოგრაფიისათვის დავამატებ: ვანო 1990 წელს ამთავრებს მისი სათაყვანებელი სოფლის, სამთავისის საშუალო სკოლას და მისაღებ გამოცდებს წარმატებით აბარებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ... და, აი, უკვე “თბილისელი” ვანო ფალავანთა კლუბში ოლეგ იაძესთან, საქართველოს სამბოს ნაკრების უფროს მწვრთნელთან ერთად შეუდგა დიდი სპორტული მიღწევებისაკენ მიმავალ გოლგოთას გზას ... თუ მეხსიერება არ მღალატობს ვანო, არც ერთი დიდი თუ პატარა შეხვედრიდან, მედლის გარეშე არ დაბრუნებია თავის სამთავისს.

ოლეგ იაძე, წიგნიდან “მარადისობის ჭაბუკი.”

ფოტოზე: 1999 წლის ჩემპიონატი სამბოში. ევროპის ჩემპიონს ვანო გამხიჯაშვილს აჯილდოებს საქართველოს სამბოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე შოთა ზუკაკიშვილი. ბულგარეთი, ქალაქი სოფია.



ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდ-მეტი წლის შუა ოქტომბერია. თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე მაყურებელი ოვაციებით დარბაზს აყრუებს. საქართველო პირველად მასპინძლობს მსოფლიოს 28 ქვეყნიდან სამბისტების ჩემპიონატს. მასპინძელი გუნდის მოჭიდავეები გულშემატკივართა მოლოდინს ამართლებენ და რუსეთის ნაკრების სამოცწლიან ჰეგემონიას პირველად ამხობენ – იმარჯვებენ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში. მაშინ ჩვენებური ერთბაშად ხუთი მოჭიდავე გაჩემპიონდა... ოქროს მედლის მოპოვება მეექვსესაც შეეძლო, მაგრამ ნაკრების კაპიტანმა, 90 კილოგრამის წონით კატეგორიაში მოასპარეზე ვანო გამხიტაშვილმა სრულიად მოულოდნელად წააგო ფინალში მანამდე უცნობ მეტოქესთან, თუმცა მოწინააღმდეგეს ამარცხებდა შეხვედრის დამთავრებამდე ოცდახუთი წამით ადრე ... რა იყო ეს, საქართველოს ნაკრების კაპიტნის მორიგი ფიასკო?!

აქამდე ხომ ის მხოლოდ ერთ მეტოქესთან, რუს სერგეი ლაპოვოკთან მარცხდებოდა ... მაგრამ ბედმა ამჯერად საკუთარი მაყურებლის თვალწინ უღალატა ნაკრების ყველაზე ტიტულოვან წევრს და კვლავ დაიმსახურა ნაკრების თავკაცის ოლეგ იაძის რისხვა ... არა, ლაპოვოკთან მარცხს თითქოს რაღაც გამართლება კიდევ მოენახებოდა, მაგრამ იმ წელს სერგეი თბილისში საერთოდ არ გამოჩნდა, შეგნებულად გაერიდა მუდმივი მეფინალე-მეტოქის სამშობლოში თავმოჭრას, იცოდა რა, ვანო თბილისში აუცილებლად გაიმარჯვებდა ... აი, ბედის ირონია, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებამ კიდევ ერთი წლით გადაიწია. აი, ბედისწერის მუხტოვანობა, რადგანაც მომდევნო წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც და თასის გათამაშებაზეც ვანო სერგეისთან ვერაფერი გააწყო. არა, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტში მანაც მოიგო მსოფლიო თასი, მაგრამ არა მუდმივ მეტოქესთან ჭიდილში ... მსოფლიო ჩემპიონობაზე სანუკვარი ოცნება კი, ვაგლახ, რომ საშუალოდ აუსრულებელი დაურჩა ...

ვინ იყო ვანო გამხიტაშვილი?

ოცი წლისამ პირველად იჭიდავა საქართველოს ფალანგის ფინალში, მაგრამ საწადელი ვერ აისრულა. 1994 წლის მიწურულში თბილისის ცირკის არენაზე კვლავ გავიდა ფინალში და გახდა კიდევ საქართველოს ფალანგი. სხვათა შორის, ამ წარმატების გამო საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენის სიაში მოხვდა და ამ მხრივ პირველი კასპელი გახდა რაიონის სპორტის ისტორიაში.

იმავე პერიოდთან მას კაპიტნად ირჩევდნენ საქართველოს სამბისტთა ნაკრებ გუნდში. ესოდენი ნდობით აღჭურვილი სპორტსმენი, როგორც წესი, მთავარი მწვრთნელის მარჯვენა ხელია და ნაკრების დანარჩენი წევრებისათვის სამაგალითო.

ჭიდაობაში მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთობა თუ ბედობლიანი ძაფით არის ნაკერი და სარჩულდადებული, მაშინ ორივე, უთუოდ, გაიხარებს მოსავლით, წლების მანძილზე შეჭამენ ერთმანეთის ჭირს. ამისი თქმა ზედმიწევნით მიესადაგება საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტისა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძისა და XX საუკუნის საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარებული ვანო გამხიტაშვილის ურთიერთობას.

მათი ურთიერთშეყრა, როგორც მწვრთნელისა და შეგირდისა, ცხრა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა და რომ არა საჭიდაო ხალიჩაზე ისედაც უიღბლო სამბისტის სიცოცხლის, მართლაც, ტრაგიკული აღსასრული, ვერავინ იტყვის, კიდევ რამდენ ხანს იმწვრთნელ-იმეგირდებდნენ (ავტოავარიაში დაიღუპა 1999 წლის 12 დეკემბერს).

“... ჩვენი ურთიერთობა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში, 1991 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან დაწყებული, 1999 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატით დამთავრებული, უამრავი რამ მაქვს გასახსენებელი. ყოველ შეჯიბრზე ერთად მივდიოდით, ერთად გვაქვს გადატანილი ლამაზად მოგებული შეხვედრების სიხარულიც და ფინალური დამარცხებების სიმწარეც, თითქმის ყოველი წაგებული ფინალის შემდეგ ჩემს რისხვას იმსახურებდა, ბევრჯერ ზომაზე მეტადაც დამიტუქსავს, მაგრამ ვანო ყოველთვის თავჩალუნული, მოთმინებით იტანდა ჩემს განრისხებას, რადგან გრძნობდა, ნამდ-



ვილად ორმაგ ტკივილს განვიცდიდი მისი წაგებით. ერთი ის იყო, თავად ჩემი შეგირდის შრომა მენახებოდა, რომელიც ფინალამდე ძლიერ მეტოქეებთან სამოთხე შეხვედრას იგებდა, ხოლო ფინალურ შეხვედრას ვეღარ აგვირგვინებდა, და მეორე კი ის, რომ მიწოდდა, ჩემი შრომაც დაფასებულიყო და ვანო, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონი გამხდარიყო” – გულისგულიდან ამოწურული ეს სიტყვები ბატონ ოლეგს ეკუთვნის და საგანგებოდ ამოვიწერეთ ავტოავარიაში ოცდაექვსი წლის ასაკში დაღუპული ნიჭიერი ნაშეგირდადის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისივე წიგნიდან “მარადისობის ჭაბუკი”.

მწვრთნელს, როგორც წიგნის ავტორს, სურს, რომ მომავალმა თაობებმა კარგად იცოდნენ ვანო გამხიტაშვილის ვინაობა. ის ზომ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი და ტიტულოვანი სპორტსმენი იყო.

1991 წლიდან, რაც ქართული სპორტი გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე, სხვა სპორტსმენებთან შედარებით მას გაცილებით მეტი მედალი ჰქონდა მოპოვებული ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონსა და უფროსებში ევროპის ჩემპიონს, დასაძინა, რომ სანუკვარ ოქრომდე დაუძლეველი დარჩა გზა უფროსთა შორის.

და მაინც, ქართული სამბოს ისტორიაში ვანო გამხიტაშვილი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, აწ მარადისობის ბინადარი ჭაბუკია, რომლის სახელი ლეგენდარულობის საბურველშია გამოხვეული. ეს კი მხოლოდ რჩეულ სპორტს-

მწვრთნელი და შეგირდი

მენტა ხვედრია. იგი სწორედაც რომ გამორჩეული მოჭიდავე და მრავალმხრივი ბუნებრივი ტალანტით დაჯილდოებული პიროვნება იყო. ამგვარ აღიარებაში უნდა ვენდოთ მის მწვრთნელსაც, ასევე, ოფლდაღვრილსა და დიდ ოქროზე მეოცნებეს, და ვენდოთ ვანოს მეტოქეებსაც – რუს სერგეი ლაპოვოკს, უზბეკ შურატ ზოჯაევის, აზერბაიჯანელ ელზან ფოლადოვსა და მეკლუდ მირალიევს – რომელნიც ამ წიგნის ფურცლებიდან გულდამძიმებულნი ეთხოვებიან მათში უძლიერესად მიჩნეულ მეგობარ – მეტოქეს ...

შეგირდდაკარგული მწვრთნელი დეტალურად იგონებს ვანოს საჭიდაო შეხვედრებს, აღწერს თითქმის ყველა ორთაბრძოლას, რომლებიც მან გამართა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ურთავს სტატისტიკურ შედეგებსა და ფერად



ლი. რუსი ვაჟკაცი, როგორც ჭეშმარიტ მოჭიდავეს სჩვევია, სინდისის ქენჯნას განიცდიდა ქართველთან მეტოქეობაში, ვანომ რამდენჯერმე აკი აშკარად სძლია კიდევ, მაგრამ მიკერძოებულმა მსაჯებმა უპირატესობა ყოველთვის რუსს მიანიჭეს ... ასეთი გულისხმიერებით მან გულ-იდან მძიმე ლოდი ჩამოიხსნა, საკუთარი საქციელი მეგობრის ჭირისუფლებს შემდეგნაირად განუმარტა: – ეს ოქროს მედალი 1998 წლის ჩემპიონატზე ნამდვილად ვანოს ეკუთვნოდა, მაგრამ კალინინგრადულ ფინალში მსაჯებმა რატომღაც მე მომაკუთვნეს. ახლა მინდა, რომ ჯილდო ღირსეულ პატრონს დავუბრუნო. დიდად სამწუხაროდ, ჩემგან ეს უკანასკნელი საჩუქარი იქნება ქართველი მეგობრისადმი ... ბატონო რეზო და ქალბატონო დალი, მიიღეთ ჩემი თაყვანი და მიგულეთ თქვენს შვილად, მე კვლავაც ჩამოვალ საქართველოში და მუხლს მოვიდრეკ თქვენი ვაჟკაცი შვილის საფლავთან!..

... 2000 წლის მაისში საქართველოს ნაკრებმა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ევროპის პირველობაზე შავარშიანი ჩოხებით იასპარეზა ... გუნდში პირველად აღარ იყო ვანო გამხიტაშვილი (მის წონაში არც სხვა მოჭიდავე დააყენეს) ... იმ შეჯიბრებაზე მისი არც ერთი ძლიერი მეტოქე არ ჩავიდა. ცხადია, პატივისცემის ნიშნად ... იქვე საგანგებოდ გამართულ ევროპის სამბოს აღმასკომის სხდომაზე წინადადება დააყენეს მსოფლიო სამბოს მომავალი კონგრესის წინაშე, რომ სამბოს განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის ვანო გამხიტაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულიყო მსოფლიო სამბოს ფედერაციის ოქროს მედლით, რაზეც თანხმობა ითქვა.

ამირან ტალახაძე.

ფოტოზე: XX საუკუნის საუკეთესო ქართველი სამბისტის ვანო გამხიტაშვილის მამას ბატონ რევაზს აჯილდოებენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათიბიშვილი და სამბისტთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე /2000 წლის 25 დეკემბერი/.


● თბილისში მყოფი მობილური ტელეფონით დაუკავშირდი ბატონ ჯემალს და შეხვედრა ვთხოვე. ის კი კავთისხევეში აღმოჩნდა. თურმე უმეტესად სოფელში ცხოვრობს. შუაუბნისაკენ საგზაო ორიენტირად თავისივე “გიორგი შატერაშვილი” მიმანიშნა, რომელიც თვალად-ეზატის გზათა შესაყარ-გასაყარზეა. დიას, სოფელია ჯემალ თუშურაშვილის მადლცხებული შემოქმედების თავიდათავი, აქაური უბრალო ადამიანები კი ნაფიქრ-ნახელავის მასაზრდოებელნი, მაბიძგარნი და მკვალავნი.

● გამართული ვაზის ხეივან-ტალავრის სიღრმეში ჩამდგარი სახლიდან მასპინძელი სანამ დაძახილზე გამომეგებებოდა, მანამდე, ჭიშკარში შებიჯების თანავე, ჩემდა მოულოდნელად, ქართული მწერლობის სხვა მეტრი, დიდი მესტორიე – ლევან გოთუა “შემომხვდა”, უფრო ზუსტად, მწერლის საფლავისეული ძეგლი: “გმირთა ვარამი” მონუმენტურია (ზომაა 3 X 2 X 0,5 მეტრი), ჩამოსხმულია ბრინჯაოში და არმაზში მდგარა რომან-ეპოპეა “გმირთა ვარამის” ავტორის სამარეზე, მაგრამ ლევან გოთუას მცხეთის სამთავროს ტაძრის ეზოში გადასვენების შემდეგ მოქანდაკე ჭირისუფლად დადგომია საკუთარ ნახელავს და კავთისხევერ ეზოში დროებით მიუჩენია ადგილი (ტაძრის ტერიტორიაზე ხელახალი დადგმა გაუმართლებელია, თბილისის მერია თუ მიეპატრონა, იქნებ დედაქალაქში, ლევან გოთუას ქუჩაზე, ისევ აღიმართოსო, – განმარტა ბატონმა ჯემალმა, რომელმაც “გმირთა ვარამი” 1976 წელს შექმნა).

● მწერალ გიორგი შატერაშვილის ბიუსტი პირველი დადგმულ-განხორციელებული ძეგლია (შეიქმნა 1969 წელს, სოფელში კი დაიდგა 1981 წლის ივნისში, არქიტექტორ იური კავთიაშვილის თანამონაწილეობით). თანასოფელელ დიდ მესიტყვესა და ლექსიკოგრაფს შორიდან იცნობდა, ხშირად ხედავდა კავთისხევეში ყოფნისას. აი, მიახლოება და გამოლაპარაკება კი ვერ გაუბედა. 1965 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო ჩაუღრმავდა და გაითავისა მწერლის შემოქმედება, სალიტერატურო კრედი. ამიტომ, რომ ახლა საათობით შეუძლია ლექციების კითხვა სახელოვანი თანასოფელელი მწერლის ცხოვრებისა და სამწერლობო საქმიანობის მრავალსაქმეტიანობაზე. ჰო, თურმე, სოფლის ცენტრისათვის სულაც კომპლექსური სახით ჩაუფიქრებია ნამუშევარი, რომლის უმთავრესი, იდეის წარმმართველი, ფიგურა უნდა ყოფილიყო “უკვდავი ფესვი” (ბერიკაცს ცალ მუხლზე უზის ყმაწვილი), მაგრამ ნომენკლატურულ ზედსაფხვრებზე მყოფ ხელისუფალთ შეუზღუდავთ და დაუმცვრევიათ, – ახალგაზრდავ, მეტისმეტად გაგიჟებია, ბევრი მოგინდომებია, ეგრე არ ეგებოს!

● კავთურისხეობელი მოქანდაკის მარჯვენით შექმნილი ძეგლები მშობლიურ რაიონში სხვაც მრავლად ჩამოსათვლელია, მისეული საჭრეთელ-საგოზავისეულია: სოფელ ხოვლეში – დიდი ივანე ჯავახიშვი-

შოხლოური მხარის მოძავე მოქანდაკე



ლის ქვაში ნაკვეთი სახე მეცნიერის სახლ-მუზეუმის ეზოში, წმიდა ღვთისმშობლის მიძინების ახალნაგები ეკლესიის კარიბჭის ხატი და კანკელი ინტერიერში; სოფელ კავთისხევეში – “შინმოუსვლელები” (“ღედა ადგილისა”) და კავთის წმიდა გიორგის ეკლესიის კარიბჭის ხატი; ქ. კასპში – 2013 წლის აპრილში დადგმული ვირტუოზი მუსიკოს-შემსრულებლის ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი, ასევე, უფრო ადრეული შინმოუსვლელთა მემორიალი – დამუშტული მარჯვენით ზეშემართული ხმალი – “სამშობლოს არვის წავართმევთ”... – მეცემენტთა “მწვანე ბალის” ავტოსადგომის ტერიტორიაზე ...

● მისი ნამუშევრები განფენილია საქართველოს ქალაქებში: თელავში (“შენ ხარ ვენახი”), გურჯაანში, საგარეჯოში (ეკუთვნის თეატრის ფასადის გაფორმება), ქ. გაგრის დაკარგვით გაქრა “დაისი”, ქ. ქობულეთის ზღვის სანაპიროს ამშვენებდა 16-მეტრიანი მონუმენტური ძეგლი “აიეტი”, რაც თურმე სრულად გაიძარცვა და მეტად გულსატკენია ავტორისათვის ... ექსპონირებული იყო, ასევე, არაერთი საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენაზე.

● შემოქმედმა თავისი წილი პატივი დედაქალაქსაც მიაგო: წმიდა სამების ტაძრის ფასადისათვის შექმნა რელიეფური ხატების 15 კომპოზიცია.

● ბატონი ჯემალი ის თავისუფალი შემოქმედია, ვინც სამხატვრო აკადემიაში მოქანდაკეობას დაეუფლა პროფესორ ვალერიან თოფურაშვილის ხელდასხმულობით და ვისაც არასოდეს უმუშავია სახელმწიფო ორგანიზაციაში, არ ფლობს არავითარ სახელოვნებო რეგალიას და თავს ინახავს საკუთარი ხელგარჯილობითა და ჰონორარით. ამჟამად მისი შთავგონება და საქმიანობა სრულად არის მიმართული უმთავრესი საქმისაკენ – თბილისში, სამების ტაძრის ტერიტორიაზე, ხორციელდება ქართველ მეფეთა და მღვდელმთავართა სახეიმო ხეივნის შექმნა, სადაც აღიმართება 12 წმიდა სვეტი ... ამ საშვილიშვილო, დიდებული იდეის სულისჩამდგმელი და მაკურთხებელია ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი ილია II. ბატონი ჯემალი თავს უბედნიერესად თვლის მასთან მეგობრობით. დიდ დაფასებად მიიჩნევს იმასაც, რომ 2008 წელს გამოცემული “ქართული ქრისტიანული ხელოვნების” მიმოხილვითი ხასიათის ვრცელი კრებული მიეძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 75 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავს და მასში შეტანილია მისი ნამუშევარიც, კერძოდ, წმიდა სამების ტაძრის რელიეფური ქანდაკება “მთავარანგელოზთა კრება” (შესრულებულია ბოლნისური ტუფით).

● მოქანდაკის სასპორტო თემატიკით დაინტერესებას რაც შეეხება, გამოსაყოფია “ფალავანი” – განზოგადებული სახე მოჭიდავისა, რომელსაც მეტოქესთან ჭიდილისას წამიერად შეუარაქთებია, მკლავები თემოსთავებზე შემოუწყვია და წელგამართული, თავაწეული შორს იმზირება, მის დაკუნთულ მუსკულატურაში გამოსჭვავის ძალოვანება. ხელოვანს ახალგაზრდობაში, უთუოდ, თვითონ უხილავს ნამდვილ ფალავანთა შერკინებანი და ქართველი ვაჟკაცის სახე თაბაშირში ამიტომაც გაუცოცხლებია.

● იმჟამად, როცა მოქანდაკე “ფალავანს” ათაბაშირებდა (1975 წ.), ცხადია, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ათეულობით წლის შემდეგ, კვლავ მოუხდებოდა აწ უკვე კონკრეტული მოჭიდავის, საქართველოს 2-გზის ფალავნის (არსებობს ასეთი სპორტული ტიტული ქართულ ჭიდაობაში) – ივანე გამხიტავის – ბიუსტის დამზადება. იმიტომაც ვერ განჭვრეტდა, რომ საქართველოს მომავალი ფალავანი მაშინ მხოლოდ ორი წლისა იყო და პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა (წლების თანხვედრილობასა და ნიშანდობილობაზე რადგან სიტყვა ჩამოვარდა, ჭიდაობის მოყვარულთათვის ბარემ იმასაც დავძენთ, რომ 1973-75 წლებში საქართველოში ზედიზედ 3-ჯერ იფალავნა, ასევე, კასპელმა (ხოვლეშმა) მოჭიდავემ, ოთარ ყურაშვილმა.

ამირან ტალახაძე.

დაიბეჭდა „განთიადში“

სადღეისოდ ყველაზე ტიტულოვანი კასპელი მოჭიდავე ივანე გამხიტავი, ამ 6 წლის წინ აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭაბუკ სამბისტთა შორის. აქ, კასპში, სახეიმო შეხვედრა მოუწყვეს და მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა, ბატონმა თამაზ ტუხიაშვილმა სოლიდური ფულადი პრემიით დააჯილდოვა ისიცა და მისი მწვრთნელიც. თანაც, დაჰპირდა: უფროსებში როცა გაიმარჯვებ, ავტომატურად გაჩუქებთო... მაშინ, როგორც იტყვიან, ჩვენში ცხოვრება დულდა და გადმოდულდა და დამპირებული სიტყვას არ გადავიდოდა, მაგრამ, ცხადია, უპირველესად, ვანოს უნდა ემოქმედა... დღეს ავტომატურად მჩუქებელი საქართველოში ძნელად მოიძებნება, ოლიმპიურ ჩემპიონებსაც კი, ატლანტაში თუ გაიმარჯვებდნენ, მხოლოდ თანხას ჰპირდებოდნენ.

არადა, ისევ ის ივანე გამხიტავი, რომელიც ახლა 23 წლისაა, ახლანანს ძალიან ახლოს იყო მანქანით დასაჩუქრებასთან. საქმე ის გახლავთ, რომ უზბეკეთის ქალაქ შახრისიავეში დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარ-

„გოლფსტარი“

და ჭიდაობაში. ჩვენ თუ “ჭიდაობა” შეგვირქმევია სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობისათვის, უზბეკებს “კურაშად” მოუხატავთ. საერთო ისაა, რომ აქაც და იქაც მეტოქეებს ჩოხები აცვიათ. ჰოდა, აი, უზბეკებს სხვა ჩოხოსნებიც მიუწვევიათ სხვადასხვა ქვეყნიდან: მონღოლეთიდან,

გამხიტავისათვის

მოლოდინიდან, ავღანეთიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, ყირგიზეთიდან, თურქმენეთიდან, იაკუთიდან ...

ლეხურისპირელი ვაჟკაცი, ვინაიდან წონა ხელს უწყობს, აბსოლუტური წონის მქონეთა შორის ჩაბმულა საასპარეზოდ. ვანოს მე-3 საპრიზო



ადგილი დაუკავებია ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში და ორგანიზატორებს ასეთი წარმატებისათვის დაუჯილდოებიათ კორეული წარმოების მაცივრით “გოლდ-სტარი” (“ოქროს ვარსკვლავი”). მასთან პირადად არ გვისაუბრია და არ ვიცით, როგორ ჩამოიტანა ეს საჩუქარი შინ, მაგრამ ის კი ვუწყით, რომ პირველ და მეორე ადგილებზე გასული მოკურაშეები დაუჯილდოებიათ უზბეკეთის პრეზიდენტის, ისლამ ქარიმოვის, სახელობითი მთლად სოლიდური პრიზებით – უზბეკეთ-სამხრეთ კორეის ერთობლივი წარმოების მსუბუქი ავტომანქანებით. ისე, კასპში ბიჭებს შეხვედრია და უთქვამს: – ფეხი მტკიოდა და ფინალში გასასვლელ ორთაბრძოლაში ფაქტიურად ცალ ფეხზე ვიდექიო. ... სამბისტი გამხიტავი ივანე ჯერ ჩოხას არ იხდის და, კაცმა რომ თქვას, არა მხოლოდ მანქანისთვის ჭიდაობს ... 1994 წლის საქართველოს ფალავანი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ოცნებობს!

ამირან ტალახაძე.
კასპის რაიონული გაზეთი “განთიადი” (21. X. 1996 წ.)



გზა სკოლისაკენ



ლამაზი, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება ყოველთვის ავსებს ადამიანს, გულს ახარებს და იმედს აღვიძებს აწმყოს ასაშენებლად და მომავლის გასაუმჯობესებლად...

საზეიმოდ მორთულა კასპის მესამე საბავშვო ბაგა-ბაღის (გამგე თეა ქუტაშვილი) დარბაზი, გამოსაშვები ზემისათვის მომზადებულან პატარა აღ-



საზრდელები, თან მოწვეულ სტუმრებს ელოდებიან.

...ისმის ნაცნობი პანგები, დარბაზი ოვაციებით ივსება, თვალხატულა, გამოპრანჭული გოგო-ბიჭები ეხუტებიან საყვარელ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს. შემდეგ გამოსაშვები ზეიმი გახსნილად გამოაცხადა მასწავლებელმა ხათუნა მერებაშვილმა. დარბაზი ტაშით შეხვდა პატარა კუდრაჭების, ტყუპების, ელენე და მარიამ ჩიტიშვილების გამოსვლას. შემდეგ დადგა ქართული ცეკვის ჯგუფი, რომელიც შეასრულეს მარი ტოგონიძემ და ირაკლი მელაძემ.

ბავშვები უმღეროდნენ დედა ენას, სამშობლოს, გაზაფხულს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების კითხ-

ვაში. სტუმრებისა და მშობლების წინაშე თავს იწონებდნენ პატარები: ლიზი მიდელაშვილი, მარი მელაძე, გიორგი მაისურაძე, ლუკა კობაძე, ნატალი ჯორთმენაძე, მარი თავგიაშვილი, ლიზი ზუციშვილი, ნინო გორიაშვილი, მიხეილ ხორბალაძე, ხატია გინტური.

ბავშვებმა თეატრალიზებული წარმოდგენაც გამართეს, იყო სანახაობრივად საინტერესო პატარ-პატარა “სპექტაკლები”, მაგალითად, “დედა ჩიტი”, რომელიც შეასრულა მარი მწითურმა და ბაჩი მერებაშვილმა, შესრულდა ცეკვა “მთიულური”, სოლისტები ანუკი ილურიძე და თეონა ავდივეი, სტუმრებმა ძალიან იხალისეს ნუცა კორკოტაშვილისა და ლევან ტატანაშვილის მიერ შესრულებული რაჭული ცეკვით. ყველა მოიხიბლა პატარა მარი ტუხიაშვილის მიერ შესრულებული სიმღერით, ბოლოს ზეიმის ყველა მონაწილემ სცნაზე მოიყარა თავი და გამოსაშვები კონცერტი დაასრულეს ცნობილი და საყვარელი ლექსით: “დავფრთიანდით, გავიზარდეთ”...

კონცერტის დასრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ხათუნა ტყემალაძე, რომელმაც მიულოცა ბავშვებსა და მათ მშობლებს ბაღის დამთავრება, მაღლობა გადაუხადა პედაგოგებს გაწეული ამავისათვის. შთაბეჭდავი იყო მშობლების ნინო მელაძის და ნატო ზუციშვილის გამოსვლა, მათ მშობლების სახელით გულითადი მაღლობა გადაუხადეს მასწავლებელს ხათუნა მერებაშვილს, აღმზრდელს ირინა მენაბდიშვილს, მუსიკის მასწავლებელს თამუნა ბიჭაშვილს გაღებული ზრუნვისა და სიყვარულისათვის. პატარების გამოსაშვებ ზეიმს ესწრებოდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენლები: მანანა მერებაშვილი, ხატია ღურული, ნათია შერმადინი, ზეიმს ესწრებოდა ქალაქის პირველი ბაგა-ბაღის გამგე მზია ჭალიაშვილი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

საგულდაგულოდ ემზადებოდნენ გამოსაშვები ზეიმისათვის კასპის №5 ბაგა-ბაღის (გამგე ლამარა მილაძე, აღმზრდელი ნანა ჯამალაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი) აღსაზრდელები, რომლებმაც სანახაობრივად ლამაზი წარმოდგენა გამართეს და თავი მოიწონეს მოწვეულ სტუმრებთან, მშობლებთან, უმცროსი ჯგუფების აღსაზრდელებთან. მხატვრულად წაიკითხეს პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები, შეასრულეს ქართული ცეკვები და ხალხური სიმღერები. აქტიურობდნენ: ქეთი გაბარაშვილი, რუსკა და ანანო ბერიანიძეები, ნოდო მერებაშვილი და თაზო

გავიზარდეთ

ყველაშვილი, ნიკა და გიორგი ფატარიძეები, ლუკა შერმადინი და ლიზი გაბოძე, თაზო ცეკვითიშვილი და ლუკა ტატანაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა სკოლამდელი ღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ხათუნა ტყემალაძე, რომელმაც მიულოცა ბავშვებს ბაღის დამთავრება და გულითადი მაღლობა გადაუხადა ბაღის კოლექტივს გაწეული შრომისათვის.



“ყველა ჩემი სამშობლოა”

წელს სასკოლო მერხებს მიუსხდებიან კასპის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის (გამგე თამარ ხოკრიშვილი, აღმზრდელი ნინო გოგელიძე, მუსიკის მასწავლებელი ეკა ქარჩავა) აღზრდილები, რომლებმაც ლამაზი და შთაბეჭდავი გამოსაშვები ზეიმი გამართეს. საკუთარი ძალებით მომზადებულ კონცერტზე მიიპატიჟეს საყვარელი პედაგოგები, მშობლები და სტუმრები.

პატარებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია “ყველა ჩემი სამშობლოა,” სადაც ბავშვებმა ხოტბა შეასხეს საქართველოს სხვადასხვა მხარეს: ქართლ-კახეთს, გურიას, სამეგრელოს, რაჭას, სახალისო ცეკვებითა და სიმღერებით წარმოადგინეს მშობლიური ქართლი...

აპლოდისმენტები დაიმსახურეს აღსაზრდელებმა: ნეკა და მარი მჭედლიშვილებმა, ქეთი კოპაძემ, ანამარია კერესელიძემ, ნინო მეშველაშვილმა, ლუკა ტერტერაშვილმა, მარიამ ახლოურმა, ვაჟა მიგრაიულმა.

გამოსაშვებ ზეიმს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი თეა გულიკაშვილი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ხათუნა ტყემალაძე, გაერთიანების წარმომადგენლები: მანანა მერებაშვილი, ხატია ღურული, ნათია შერმადინი.



ბ ი ნ ე ა თ, გაეცნოთ საინტეხესო, საქმიან და მნიშვნელოვან სვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

ბ ი ნ ე ა თ, გაიგოთ ეხისკაცთა მოსახეებები საქართველოს ცხოვრების პეისპეკტივაზე?

ბ ი ნ ე ა თ თვადი ადევნოთ საქართველოში მიმდინაჲ მოვინებებს?

გამოიზრდეთ “ახალი განთიადი” რა განტით ზეინი მეთიხელო!

მეთიხელოს შეუძლია მოგვანოდოს სავტორო კროსვოროდში, შეძერწებით-განსართობი მასალეგი.

დაინტერესებულ მეთიხელოს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, საკაძის ქ. 68. ან ფარეკოს ტელეფონზე: 0371222576.

..ახალი განთიადი.. იძებს ზაინტერესო სურათებს რაიონის ზავზებით თოტო-მაციაინის შეღაჰმეროვო. თხოვით მივმართათ თანაწრაიონეოებს - რაცოვოთ თჷრეინი ყვარი ზეინს მაციაინეში! გამოგვიგზავნეთ ზაინტერესო რა ზახაიონო თოტოეი!

ძვირფასო მკითხველო,

აღსანი ღირსების
განმარტობაში მრავალი უტ-
ნაყრი, მოყოლოცნელი თუ
აუბნელი მოვლინის მომწი
ბრძა. უმეცრე შეთხვევაში
აწ ვიტი, ვინ გაუზიაროთ



ნანაბი, არობთ იმის შიშით,
რომ შეიძლება აწაბლონა
გაგვიგონ.

თუ ყოფილობაში მომ-
ბწიე აუბნელი, უტნაყრი,
შეუტნობელი მოვლინის შე-
გიძლიათ მოგვაწოლოთ ამ
მოვლინის ამბახელი მანა-
ლა. მინი გატნობის რა შეტ-
წალოც შეიძლება თუ იგი ზაინ-
ტერესო იქნება გატნობის



მკითხველინათი, გამოგვიგ-
ნობა გატნობი წიხნითი
“შეუტნობელი”.

ზატირობის შეთხ-
ვევაში შეგიძლიათ თქვენ
მიერ შემოთავაზებული ბერ-
ილი გატავტეი ყუჩნალო
“თინობნა” რა შეტნაბინა
ავტორი გატნობის ეტნტრითა
შეუტნობნა თუ ყომტნაწ-
იბნ.

ყელოცნობი გატნ-
მაყრებნა.



ჩვენი საყვარელო პატარებო!

გასული წლიდან
მოყოლებული სულ ვრდ-
ლობთ თქვენთვის საინ-
ტერესო თემებზე გა-
საუბროთ, უფრო სწორად,
ისეთ რამებზე და ისეთ
ვინაობებზე, რომელთა
შესახებ მშობლებს ეზარე-
ბათ (ან არ სწავლიათ!)
საუბარი.

თქვენ ასეა უფრო
ბევრი ირთ ვიდრე შარშან
და თუ ხშირად ნაიკითხავთ
ჩვენს გაზეთს, მართლაც,
ბევრ საინტერესო და სა-
საბოვნო სიახლეს შეიძე-
ობთ საყვარელ ზღაპრის თუ
მულტფილმის გმირებზე,
მსოფლიოში გაფანტულ სა-
ბავშვო მუზეუმებსა თუ
ატრაქციონებზე, ნაუტკე-
შა სასახლეებსა და ალბე-
ში “დამალულ” საგან-
ძურზე... ნინ მოულოდ-
ნელად საინტერესო შეხ-
ვედრები გელოდებოთ,
ოღონდ ამისათვის აუცილე-
ბლად უნდა გამოინეროთ
ჩვენი გაზეთი “ახალი გან-
თიადი”!

მამ ასე, ყურა-
ფლებით:

თუ გსურთ ჩვენი
გაზეთის ხელმოწერი
გახდეთ, მონაწილეთ რე-
დაქციაში! გააფორმეთ ხე-
ლოწერა, დატოვეთ
თქვენთვის საინტერესო
შეკითხვები და უახლოეს
ნომერში მიიღებთ პასუხს
თქვენს საყვარელ
რუბრიკაში “კეხურა”.

სსოვნა გიგა და გიორგი ზაქარიაშვილები



ჩემო საფიცარო და
სამი წლის მონატრებულ
შვილიშვილებო, როგორ დაგე-
ტოვეთ იმ აბედით დღეს, ერთ
დღეში როგორ დაილია მომავ-
ლის ფიქრი და იმედი ...

სამი წელი გავიდა,
ჩვენთვის კი ეს დრო სამ საუკუ-
ნელ იქცა. ყოველი გატენება
თქვენზე ლოცვით იწყება და
თქვენთვის ლოცვით დამდება.
განსაცდელიც გაგვიგია და სა-
ტანჯველიც, მაგრამ ასეთი - ორი
საფიცარი შვილის დაკარგვა
ტრაგიკული შემთხვევის გამო
... და ამ ტკივილით ცხოვრება
ყოველცისმარე.

ჩემო გიგა და გიორგი,

არ ვიცი სიტყვები, რომლებიც
დაიტევნ თქვენზე ფიქრსა და
სევდას, არ ვიცი სიტყვები, რომ-
ლებიც დაიტევნ თქვენს სიყ-
ვარულს და მონატრებას, არ
ვიცი სიტყვები, რომლებიც
დაიტევნ უთქვენობის
ტკივილს...

თქვენი ბიძაშვილები
იზა და გვანცა ძალიან ხშირად
გისხენებენ, გისხენებენ გეო
ბიძა და ქეთინო ბიცოლა, გოგი
პაპას სულ ცრემლი აქვს
თვალებზე ...

დმერთმა ნათელში
გვიმყოფოს თქვენი სული.

დოდო ბებო.

80 წელი თქვენს
გვარდით
გამოიწერეთ

„ახალი განთიადი“!
80 წელი თქვენს
გვარდით

მოიხსენა, უფალო, სულნი პირად ბარდასვალებათა მშობელთა, კმათა და ღათა ჩვენთა და ყოველთა სოცხილთა
ნათესავთა ჩვენთა და შენდებან ყოველი სოცხილი მათნი ნახილთნი და უნებლითნი, და მიანიჭა მათ სასუფაველი მათა და
მკვიდრახყვან იზინი საუკუნეთა კათილთა შენთა და რჩეულთა შენთა ნომრათა თანა.

ქანის მუნიციპალიტეტის საკრებუ- ლო სამიძიარს უხსადაბს განადი ხაჩიძის დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის მუნიციპალიტეტის საქოლამდელი ალზრდის დანსაბულა- ბების ბაართინანების თანაშრომელა- ბი სამიძიარს უხსადაბან მაქა სუნ- აშვილის ბაშის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის მუნიციპალიტეტის სახ- ელმუნაშო საქოლბის ბაართინანაბ თანაშრომლობს მაქა სუნაშვილს ბა- შის და გიული სოზიანშვილს ბაქსლის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის გიგლიოთაქის თან- აშრომელაბი თანაშრომლობან განადი სუნაშვილს ბაშის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.
ქანის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამიძიარს უხსადაბს მაქა სუნაშვილს ბაშის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.	გივი მელაქა ოქანით იუნა- ბა, რომ ბარდასვალა ზურაბ სუნაშვილი და თანაშრომლობს განსუნაშვილის ოქანს.	ბელა კოზიანშვილი ოქანით თანაშრომლობს განადი და დალი ხაჩიძეებს დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის მუნიციპალიტეტის საქოლბის დანსაბულაბების ბაარ- თინანაბ სამიძიარს უხსადაბს გან- დი ხაჩიძის დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.
ქანის მუნიციპალიტეტის საქოლამ- დელი ალზრდის დანსაბულაბების ბაართინანების თანაშრომელაბი სამ- იძიარს უხსადაბან განადი ხაჩიძის დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის მუნიციპალიტეტის სახელმუნაშო საქოლბის ბაართინანაბ თანაშრომლობს განადი ხაჩიძის დისუ- ვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის გიგლიოთაქის თანაშ- რომელაბი თანაშრომლობან განადი და დალი ხაჩიძეების ოქანებს ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის მუნიციპალიტეტის საქოლბის დანსაბულაბების ბაარ- თინანაბ სამიძიარს უხსადაბს მაქა სუნაშვილს ბაშის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.
ბაზეთი „ახალი განთიადი.. სამიძიარს უხსადაბს დალი და განადი ხაჩიძეებს დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ქანის პირველი საჯარო საქოლის დირაქიში, პედაგოგიური საქოლქიში და ბაქარსონალი სამიძიარს უხსადაბან დალი ხაჩიძის დისუვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ბაზეთი „ახალი განთიადი.. სამიძიარს უხსადაბს მაქა სუნაშვილს ბაშის ზურაბ სუნაშვილის ბარდასვალების ბაშო.	ბაზეთი „ახალი განთიადი.. სამიძიარს უხსადაბს ნანა მეკაბაშვილს დიდაშვილის ზაზა იაქობაშვილის ბარდასვალების ბაშო.

რედაქციაში შემოსული წერ-
ილები არ რეცენზირდება და
ავტორებს არ უბრუნდებათ

**ბაზეთი იბაქდაბა
ბაშოშვილი
„ქოლორში“**

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტაჟიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის
აზრს. მოგანილი შაქაბის სიზუსტეა პასუხისმგებელია ავტორი.
სარედაქციო მასალებისა და განხილვების შინაარსზე რედაქცია
პასუხს არ აბებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრება.

რედაქტორი
ნანა მეკაბაშვილი
რედაქციის მისამართი:
2600 ქ ქანაი
საბაქის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76